

შპს პარექსელ ინტერნეიშენალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	9
5. ძირითადი საშუალებები	9
6. საგადასახადო აქტივი	10
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
8. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	10
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
10. სხვა საოპერაციო ხარჯები	11
11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	11
12. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	12

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	347,084	295,352
წინასწარ გადახდილი იჯარა		56,618	56,618
		403,702	351,970
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივი	6	80,964	101,662
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,021,585	1,112,576
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	2,446,358	2,537,121
		4,548,907	3,751,359
სულ აქტივები		4,952,609	4,103,329
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
კაპიტალი		1,200,100	1,200,100
გაუნაწილებელი მოგება		2,447,113	1,807,171
		3,647,213	3,007,271
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სხვა ანარიცხები		883,606	694,993
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	421,790	401,065
		1,305,396	1,096,058
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,952,609	4,103,329

შპს პარექსელ ინტერნეიშენალ ჯორჯია
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი			
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		10,295,619	9,074,473
საერთო მოგება		<u>10,295,619</u>	<u>9,074,473</u>
საოპერაციო ხარჯი			
თანამშრომელთა კომპენსაცია და სარგებელი		(7,149,565)	(6,141,690)
საიჯარო ხარჯი		(300,468)	(393,370)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(142,996)	(106,107)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(2,071,732)	(2,054,244)
სულ საოპერაციო ხარჯები		<u>(9,664,761)</u>	<u>(8,695,411)</u>
საოპერაციო მოგება		<u>630,858</u>	<u>379,062</u>
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		26,523	56,421
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/ (ზარალი), წმინდა		(17,439)	263,317
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		<u>639,942</u>	<u>698,800</u>

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ჯონ რონალდ ჯეიმს ბენუა

შპს პარექსელ ინტერნეიშენალ ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი			
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		10,295,619	9,074,473
საერთო მოგება		10,295,619	9,074,473
საოპერაციო ხარჯი			
თანამშრომელთა კომპენსაცია და სარგებელი		(7,149,565)	(6,141,690)
საიჯარო ხარჯი		(300,468)	(393,370)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(142,996)	(106,107)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(2,071,732)	(2,054,244)
სულ საოპერაციო ხარჯები		(9,664,761)	(8,695,411)
საოპერაციო მოგება		630,858	379,062
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		26,523	56,421
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(17,439)	263,317
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		639,942	698,800

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ჯონ რონალდ ჯეიმს ბენუა

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	1,200,100	1,108,371	2,308,471
წლის სრული შემოსავალი	-	698,800	698,800
31 დეკემბერი 2023	1,200,100	1,807,171	3,007,271
წლის სრული შემოსავალი	-	639,942	639,942
31 დეკემბერი 2024	1,200,100	2,447,113	3,647,213

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია (შემდეგში - კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი - 405124084), დაარსდა 2015 წელს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი: თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ელენე ახვლედიანის აღმართი, N 9ა

პარექსელი არის კლინიკური კვლევების ორგანიზაცია (CRO), რომელიც ოპერირებს მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის საქართველოში. პარექსელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფარმაცევტულ კომპანიებს სთავაზობს წამლის განვითარების ყოვლისმომცველ შესაძლებლობებს. პარექსელი უზრუნველყოფს I-IV ფაზის კლინიკურ კვლევებს კლინიკური კვლევების ჩატარების საშუალებით, რაც მისცემს შესაძლებლობას კლიენტებს, ჩვეულებრივ, ფარმაცევტულ კომპანიებს ("სპონსორი"), შეიმუშაონ და გაყიდონ ახალი ფარმაცევტული პროდუქტები. პარექსელი ეხმარება ფარმაცევტულ კომპანიებს კლინიკური კვლევების მეშვეობით მიიღონ ახალი და ინოვაციური მედიკამენტები, რათა უსაფრთხო და ეფექტურმა ახალმა წამლებმა შეძლონ პაციენტების უფრო სწრაფად/ეფექტურად მკურნალობა. შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია არის პასუხისმგებელი საქართველოში კლინიკურ კვლევებზე.

კომპანიის დირექტორები არიან:

- მაიკლ ფრენსის ქროული III
- ჯონ რონალდ ჯეიმს ბენუა

კომპანიის დამფუძნებლები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
Limited Liability Company Parexel International Holding BV	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მს ფას“) შესაბამისად.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მს ფას) შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მს ფას-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხულ თანხებზე. კომპანია მსჯელობს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ეს შეფასებები და განსჯები მუდმივად გადახედულია და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალ მოვლენებზე მოლოდინებზე, რომლებიც ითვლება გონივრულად მოცემულ პირობებში. კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული შეფასებები გონივრულია. მომავალი ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის ასპექტები, რომლებიც მოითხოვენ უფრო მაღალ დონეზე განსჯას ან სირთულეს, ან სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანი როლს ასრულებენ ფინანსურ ანგარიშგებებში:

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე, თუ აქტივი არ გენერირებს დამოუკიდებელ ფულად ნაკადებს სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფებისგან, გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე. გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცვალა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებები.

	თანხა ცვლილებამდე	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
გადახდილი ავანსები	59,874	(59,874)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,052,702	59,874	1,112,576
	1,112,576	-	1,112,576
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
თანამშრომელთა კომპენსაცია და სარგებელი	(6,089,434)	(52,256)	(6,141,690)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,106,500)	52,256	(2,054,244)
	(8,195,934)	-	(8,195,934)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ტექნიკა	სულ
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	645,257	286,634	931,891
შემოსვლა	110,384	34,504	144,888
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	755,641	321,138	1,076,779
შემოსვლა	194,728	-	194,728
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	950,369	321,138	1,271,507
დაგროვილი ცვეთა			
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	(393,150)	(282,170)	(675,320)
ცვეთა	(103,185)	(2,922)	(106,107)
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	(496,335)	(285,092)	(781,427)
ცვეთა	(131,183)	(11,813)	(142,996)
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	(627,518)	(296,905)	(924,423)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	252,107	4,464	256,571
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	259,306	36,046	295,352
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	322,851	24,233	347,084

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარი)

6. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.

შედეგად 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად, როგორც აქტივი 80,964 და 101,662 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მოთხოვნები		
დაკავშირებული მხარეები	1,434,567	831,814
სხვა მოთხოვნები	587,018	280,762
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>2,021,585</u>	<u>1,112,576</u>

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,333,385	1,863,258
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1,112,973	673,863
	<u>2,446,358</u>	<u>2,537,121</u>

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	225,481	276,668
სხვა ვალდებულებები	196,309	124,397
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>421,790</u>	<u>401,065</u>

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბეჭდვის ხარჯები	(1,399,730)	(1,567,834)
მივლინების ხარჯები	(173,161)	(105,584)
საკონსულტაციო ხარჯები	(170,642)	(159,276)
კომუნალური ხარჯები	(118,881)	(86,864)
ოფისთან დაკავშირებული ხარჯები	(90,001)	(67,457)
საკომუნიკაციო ხარჯები	(15,545)	(17,505)
საგადასახადო ხარჯები	(11,560)	(34,256)
საბანკო საკომისიო ხარჯები	(5,318)	(3,346)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(86,894)	(12,122)
	(2,071,732)	(2,054,244)

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დეტალები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	PAREXEL International (IRL) Ltd	PAREXEL International Co. Ltd	PAREXEL China Co. Ltd	PAREXEL INTERNATIONAL LLC	Parexel Spain	Parexel International GmbH	Parexel International Holding B.V
სრული შემოსავლის ანგარიშგება							
შემოსავალი							
გაწეული							
მომსახურებიდან	7,456,267	1,892,692	477,667	468,992	-	-	-
თანამშრომელთა							
კომპენსაცია და							
სარგებელი	-	-	-	3,668	-	-	-
უცხოური ვალუტის							
კურსის							
ცვლილებით							
მიღებული							
მოგება/ზარალი ,							
წმინდა	-	-	-	159	-	-	-
სხვა არასაოპერაციო							
შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება							
საეჭრო და სხვა							
მოთხოვნები	957,426	318,637	66,139	92,365	-	-	-
საეჭრო და სხვა							
ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-

დეტალები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე 2023 წლის 31 დეკემბრის

შპს პარექსელ ინთერნეიშენალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	PAREXEL International (IRL) Ltd	PAREXEL International Co. Ltd	PAREXEL China Co. Ltd	PAREXEL INTERNATIONAL LLC	Parexel Spain	Parexel International GmbH	Parexel International Holding B.V
სრული შემოსავლის ანგარიშგება							
შემოსავალი							
გაწეული							
მომსახურებიდან	6,868,329	1,225,831	190,921	789,392	-	-	-
თანამშრომელთა							
კომპენსაცია და							
სარგებელი	-	-	-	20,268	-	-	-
უცხოური ვალუტის							
კურსის							
ცვლილებით							
მიღებული							
მოგება/ზარალი ,							
წმინდა	-	-	-	2,636	126	411,509	-
სხვა არასაოპერაციო							
შემოსავალი	-	-	-	27,123	-	(10,499)	12
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება							
სავაჭრო და სხვა							
მოთხოვნები	630,397	124,954	30,396	46,067	-	-	-
სავაჭრო და სხვა							
ვალდებულებები	-	-	-	7,466	-	-	-

12. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

12. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

კომპანიის შემოსავალი აღიარდება დარიცხვი პრინციპის შესაბამისად, ანუ იმ პერიოდში, რომელსაც ეკუთვნის, მიუხედავად მისი მიღების ან გადახდის თარიღისა. კომპანია იღებს შემოსავალს კონტრაქტებიდან (კომპანიათაშორისი) კლიენტებთან, თავისი კლინიკური სერვისების მიწოდებით, გლობალურ ფარმაცევტულ და ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიებში. კომპანიის თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაო ინვოისდება შიდა კომპანიათაშორის არსებული კონტრაქტის მფლობელ ერთეულზე ყოველთვიურად და აღიარდება როგორც შემოსავალი.

საშუამავლო (Pass-Through) შემოსავლები/ხარჯები

ეს არის ის ხარჯი, რომელიც Parexel Georgia-მ გაიღო როგორც აგენტმა მესამე მხარეებისთვის პროფესიული მომსახურების საფასურის გაწევისას. როგორც წესი, საშუამავლო ხარჯები მოიცავს შემდეგს: მგზავრობის საფასურს, კურიერის საფასურს, თარგმანს/სერტიფიკატს, შტამპის მოვალეობას, ბეჭდვას, საკანცელარიო, ეთიკის კომიტეტის საფასურს, ლაბორატორიის ხარჯებს და ფარმაცევტულ მოსაკრებლებს. არც Parexel Georgia და არც სხვა ნებისმიერი Parexel-ის ერთეული ამ ხარჯებზე დამატებით გადასახადს არ აწესებენ, რაც ნიშნავს, რომ კლიენტი ანაზღაურებს მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯს. შედეგად, ასეთი ხარჯები არ წარმოადგენს სუბიექტის ეკონომიკური მიზნების ნაწილს, ანუ არ არსებობს მოგება, რომელიც დაკავშირებულია ასეთ ხარჯებთან. ისინი დაფუძნებულია სუფთა ხარჯების ანაზღაურების პრინციპზე.

ხარჯების აღიარება

კომპანია აღიარებს ხარჯებს ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ არსებული ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის მატერიალიზებული რესურსების გასვლა მოხდება და დადგენილია, რომ აღნიშნული ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხა შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები აღიარებულია დარიცხვის პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ ისინი აღირიცხება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც წარმოიშვა, მიუხედავად იმისა, როდის იქნება თანხა გადახდილი.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარა თუ კომპანიას აქტივის ფლობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი არ გადმოეცემა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება

12. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან, ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი. აქტივები ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რაც წარმოადგენს 33.3%-ს ყველა ძირითადი საშუალების ჯგუფისთვის სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

12. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან განიხილავს:

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათაო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათაო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათაო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებული მომწოდებელი მომსახურების შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თავად არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებელიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
- (vii) (ა)(i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოხსენებული საწარმოს (ან მისი სათაო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო ეკუთვნის, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათაო საწარმოს, აწვდის მმართველობით მომსახურებას.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

12. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე კორექტირებადი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.